

რედაქცია

მოდინის (აბას-აბატის) მედინე, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მედიკინის სტამბაში. შალაქი გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дროზდა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასო-მოთვრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციკერული, სტრიქონზე — 5 კაპ., პეტითი — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გამოწერებს და შეამოკლებს გამოგზავნილ, ხტატებსა და დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

დროშა

გამოდის კვირისგან, ოთხშაბათობით და პარასკეობით

სამართლებლო

ჩვენი კლუბები

ამბობენ, რომ როდესაც შეთქმულნი ვართ საუკუნეში პირველი ყაზახანები გაიხსნა სტამბოლს, რაც ახალგაზდა, წარმატებისა და თავისუფლების მოყვარე ხალხი იყო, იქ დაიარსებდა და ამ ყაზახანებში ხშირად საზოგადო საქმეებზე გაცხარებული ბაასი ჩამოვარდებოდა. ამბობენ, რომ მაშინ დელი მსამალოს მმართველობა ძალიან ეჭვიანად და დაუნდობელად უყუარებდა ყაზახანების კრებებს, სადაც ყავის სმის დროს მოქალაქენი სახელმწიფო საქმეებზე და საზოგადოთ ისეთს საგნებზე სჯიდნენ, რომელნიც მმართველობას სრულიად არ მოსწონდა.

ამნაირივე მნიშვნელობა აქვს პარიზის ამ დროინდელს ყაზახანებს. აქ თითქმის ყოველ დღე იკრიბებიან ნაცნობები, თავისუფლად მუსაფობენ და სჯიან სხვა და სხვა საერო საგნებზე და ხშირად აქვე თავიანთ კრძალ საქმეებსაც არიგებენ.

კლუბებსაც ადრე იმნაირივე დანიშნულება ჰქონდათ და მეროპაში ეხლაც აქვს. აქაც საზოგადო ლაპარაკით, საუბრით, ბაასით და სხვა და სხვა თავის შექცევით დროებს ატარებენ და ატარებდნენ. საფრანგეთში და ინგლისში უანგარო მოკლუბებია, რომლებსაც წვერთაც ერთი

რამ განსაკუთრებული საგანი ამოუჩვენიათ და უმთავრესად იმის აღსრულებას მისდევენ.

მაგრამ სამხედრო გარეთ ერთს იმისთანა კლუბს ვერ ნახეთ, რომ თავის მოქმედების მიზნათა და დროების გასატარებელ საშუალებად მხოლოდ ქალაქის თამაშობა და ტანციობა მიიჩნდეთ ისე, როგორც თითქმის ყველა ჩვენებურ კლუბებშია.

პირველად, გახსნილია თანავე, მთელი პარტიკული წრე ჩინებული პროგრამა ჰქონდა თავის დანიშნულობისა: კლუბის დამარსებელნი აცხადებდნენ, რომ, ჩვეულებრივსა საღამოებსა და ბალებს გარდა, ჩვენი კლუბი ეცდება რაც შეიძლება უფრო ხშირად ლიტერატურული საღამოები, კონცერტები და სხვა ამ გვარი კეთილშობილური და სასიამოვნო რამეები გაემართოთ.

ეს კეთილი განზრახვა განზრახვად დარჩათ: სისრულეში მოყვანა კი არავის უფიქრია, და ეს წრეც ისეთივე კლუბით გადიქცა, როგორც ჩვენი ინგლისის კლუბი და მთელი ისიძრება, რომლებშიაც ქალაქის თამაშობისა და ბალების გამართვის მეტს ვერას ვხედავთ.

როდესაც კლუბს ამნაირი დანიშნულება აქვს, როდესაც წვერნი მხოლოდ ქალაქის სათამაშოთ და საცეკვაოდ მიდიან თავიანთ კლუბში, მაშინ, უეჭველია, არავის არ უნდა ჰქონოდა უფლება მოეთხოვა, რომ

ესა და ეს პირი შეიძლება იყოს კლუბშია და ესა და ეს არაა, რადგან ქალაქის სათამაშოდ და ხტუნვისთვის ყველანი გამოდგებიან. ბარჩევა წვერად მისაღები პირებისა მაშინ უნდა ჰყოფილიყო, როდესაც კლუბს სხვა ისეთი დროს გასატარებელი საშუალება და ან სხვა ისეთი რამე საქმეები ჰქონდეს, რომელშიაც ზოგ გვარი ხალხის გარევა შეიძლება შევინებელი იყოს. მაგრამ ტანციობაში და ქალაქის თამაშობაში...

თუ ჩვენს კლუბებს ამ თვლით შევხედავთ, მაშინ, უეჭველია, გავიკვირდება ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ დროს ორმა აქაურმა კლუბმა ერთი წვერი გამოირიცხა ერთობაც რაღაც „საძრახი ყოფაქცევისთვის“...

საცმა არ იცის — რა არის ჩვენი კლუბებისთვის ეს „საძრახი ყოფაქცევა“. ჩვენ არ ვამართლებთ გამოირიცხულ წვერს; ესთქვათ, იმას მართლა და ნამდვილად რომელიმე საძრახი ყოფა-ქცევა ჰქონდა; მაგრამ შემოსწინებული კლუბების ყველა წვერებს ესთხოვთ, გულზე ხელი დაიდონ და წრეელი სინიღისით გვიპასუხოთ: რომელია იმათში ისეთი უმანკო, რომელსაც რომელიმე საძრახი მოქმედება არ ჩაიდნოს?

ამნაირის ლოგიკით რომ მოიქცნენ, ხომ ყველა კლუბები ერთ დღე დასაკეტი შეიქნება!...

ს. მესხი

ფელტონი

იოსებ ბარიბალდი

შეწვილობითე ბარიბალდი აღტაცებით ჰკითხულობდა. თავის სამშობლოს ძველი, დიდებული დროების ისტორიას, და იმის გულში თან და თან იზრდებოდა ის ჰაზრი, რომ ეხლანდელი ჩემი სამშობლო იტალია პატარა-პატარა სამეფოებად და ნაწილებისა და მტარელების წყალობით არის დაცეული. იტალიის მეცნიერი-მაკიაველი-ერთს თავის შესანიშნავ თხზულებაში („Il Principe“) ამბობს, რომ „ვინც პირველად გაბედავს და იტალიის განთავისუფლებისა და ერთობის დროშას მალა დაიჭერს ხელში, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გამარჯვებულა; ძველებური სიმხნევე და თავისუფლების სიყვარული იტალიელებს ჯერ არ დაუკარგავთ.“

ეს წინასწარმეტყველური სიტყვები მაგრად შთაბეჭდა ბარიბალდის

გულში: იმან გადაწყვიტა იტალიის განთავისუფლებას და შეერთებას შესწიროს თავი.

ამ ხანებში ბარიბალდიმ გაიცნო მაძინი და შეიქმნა იმ საიდუმლო საზოგადოების წვერათ, რომელიც მაძინიმ შეადგინა და რომელსაც ერქვა სახელად „ახალგაზდა იტალია“ (1831 წ.). იტალიის პატრიოტებს ძალიან დიდი იმედი ჰქონდათ ბარიბალდისა, რადგან ის გამოჩენილი იყო, როგორც მხნე და იტალიის განთავისუფლებისათვის მუდამ თავგანწირული მომხრე — პატრიოტი. ამ დროსვე იმან მიიღო მონაწილეობა ერთ პატარა არეულობაში, რომელიც მაძინის მომხრეებისათვის ძალიან უბედურათ გადაედა და ამის გამო იმათი მომეტებული ნაწილი უნდა გაქცეულიყვნენ იტალიიდან. ბარიბალდი, პატრათ ჩაცმული, გამოიპარა ბენუიდან და საფრანგეთში მოვიდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში ის სცხოვრებდა მარსელში და მასწავლებლობის ხელობით მოულობდა ლუკმა-პურსა.

ში და მასწავლებლობის ხელობით მოულობდა ლუკმა-პურსა.

1833 და 1834 წლის განმავლობაში ბარიბალდი რამდენჯერმე შეიპარა ჩრდილოეთ იტალიაში თავის თანამოაზრეებით და მოსვენებას არ აძლევდა ავსტრიელებს. ხშირად ორმოცი-სამოცი კაცით რაედენიმე ასი ავსტრიელი სალდათი უფრენია წინ. რამდენჯერ აშკარა სიკვდილს და დატყვევებას გადარჩენილა, ვინ იცის! ხალხში ხმა იყო გავარდნილი, რომ ბარიბალდის ტყვია არ ეკარებო. ავსტრიელებს ისე ეშმაკისა არ ეშინოდათ, როგორც წითელ-პერანგა გარიბალდიელებისა.

მაგრამ ერთი მუტა ბარიბალდის მომხრეები მაინც რას გარიგებდნენ ცალკე ავსტრიელების და ცალკე თვითონ იტალიის ხელმწიფეების წინააღმდეგ! ბოლოს ის თითქო დარწმუნდა, რომ ჯერ დრო არ მოსულა იტალიის განთავისუფლებისათვის, გამოეთხოვა თავის თანამოაზრე პატრიოტებს და ისევე მარსელში დაბრუნდა.

„დროშის“ კორესპონდენცია


ქ. შორი, 8 თებერვალს.

გვინებ, „დროშის“ მკითხველებს მოჰხერხათ ამდენი ქურდობა და ავაზაკობაზედ კორესპონდენციების კითხვა. რა გეწყობა, მკითხველო, ხომ გაგიგონა ან დაწა: ჟამნი მეფებენო. ბეაქეს იმ ნაირი დრო, ვართ იმ ნაირ მდგომარეობაში, რომ ამ გვარი მოვლენანი არ არიან გასაოცნი და მოსაწყენნი, არამედ ღირსნიც არიან ყურადღების მიქცევისა, ამიტომ რომ ამ გვარი, ე. ი. ქურდობა, ავაზაკობა და სხვა უზნეო მოქმედებანი და შემთხვევანი ხალხის ცხოვრებაში მკაცრად და ნათლად გვაჩვენებენ ჩვენ რომელიმე ხალხის ანუ საზოგადოების ცხოვრების მატერიალური მხრის სისუსტეს, ზნეობითს გარყენილებას და გონებითს სიღარიბეს.

ზოგიერთი ახალგაზდები (კეუთი კი არა, პასაკით), რომლებთანაც მაქვს პატივი შეხვედრისა ქ. შორში, ურბეში თითს დაიცობენ და რომ ხელათ აღუდებული ერბო შეხვედეთ შიგაც ჩაისხმენ, როდესაც გაიგონებენ ხოლმე რასმეს ქართულ გამოცემაზედ: „რა არის ეგ თქვენი „დროშა“ — მითხრა ერთმა იმათგანმა, როდესაც მე ერთ სახლში ვკითხულობდი ხსენებულ გაზეთს, — тамъ все ქურდობა და დიდ-კაცების დაცინვა говорится, რომლებს ფხვთა მტერი არა

მარსელში იმას დიდხანს არ მოუწყენია: აქედამ ჩრდილოეთ აფრიკაში წაიღია და შევიდა ტუნისის ბეის სამსახურში ზღვის აფიცრათ. იმის დამოუკიდებლობის მოყვარე გულმა ვერ გასძლო ამ ხელმწიფის სამსახურში და ცოტა ხანს შემდეგ, აებარგა და ამერიკისაკენ გასწია.

ამ დროს ჩიო-ბრანდოსა და ბრაზილიას შუა გაცხარებული ომი იყო; ჩიო-ბრანდომ ვერ მოითმინა ბრაზილიის უფელი, აღდგა და ცალკე რესპუბლიკის შედგენა მოინდომა. ბარიბალდიმ, რასაკვირველია, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ჩიო-ბრანდოს მხარე დაიჭირა. იმის დროშის ქვეშ დაგროვდნენ ყველა უცხო-ქვეყნელები, რომელნიც პოლიტიკური დანაშაულისთვის გამოქცეულიყვნენ თავიანთ ქვეყნიბიდან. ამ ერთ მუტა ჯარის მხნეობა და სიმარჯვე ყველას აკვირებდა: ერთხელ ხუთმეტი კაცით ბარიბალდიმ ასზე მეტი ბრაზილიის სალდათი გააქცია; მეორეთ იმის პატარა ნაევს ბრაზილიის ხომალდები შემოერტყნენ გა-



რუსეთი

ან დიდი ხარალი მისცა ამ ქარბ-ხალმაო.

✶ რუსულს „სამეურნეო გაზეთში“ დაბეჭდილია ზოგიერთი საინტერესო ცნობა სოფლის მუშების არტელეზზე. შევლოხე უფრო შემოღებული არტელით მუშაობა პოლგის ნაპირა გუბერნიებში არის და განსაკუთრებით შ.ზანის გუბერნიაში, სადაც მუშები ცალ-ცალკე არასოდეს არ მიღან თურმე სამუშაოთ და არც არაის დაუდგებიან; ვისაც მუშების დაჭრა ჰქურს, მთელს საზოგადოებას (არტელს) უნდა მოურიგდეს და ეს კისრულობს მუშაობას. აღებულ ქირას არტელის ყველა წევრი თანაწილათ იყოფენ.

✶ მრთს ვაჭარს ისეთი სახლი აუშენებია პეტერბურღში, რომელშიაც მარტო სტუდენტების დასადგომათ არის ოთახები გამართული. ოთახები ძალიან იაფ ფასად ჰქირაედება თურმე და აქვე იფი სადილე-ბიც იპოება.

✶ პეტერბურღის მსგავსად შ.ზანშიაც შემდგარა ისეთი საზოგადოება, რომელსაც მცირე-წლოვანი დამნაშავეებისათვის ცალკე სამეურნეო ფერმა აქეთ და ამას გარდა თითოეულ დამნაშავეს წერა-კითხვასა და ერთს რომელსამე ხელობას აწავლიან; როცა მცირე წლოვნი დამნაშავე გაიზდება და გამოვა ფერმი-დამ, თავის ხელობითა და პტიოხანი შრომით შეუძლია თავის რჩენა და ერთი სიტყვით, იძულებული არ იქნება, რომ ლუკმა-პურის მოსპოვებულად ცუდი რამ საქმე ჩაიდინოს.

✶ პეტერბურღის ერთი გაზეთ გვაცნობებს, რომ რამდენსამე იქაურ

ხართო. მე კრუეოკშიაც წაეკითხავ მაგისტანებს სხვა გაზეთებიდანაო*.) მაგრამ ჩვენ ამისთანებს რას დავსდევთ, ჩემო მკითხველო! მაშ დავიწყობ ისევ და ისევ ქურდობაზედ.

წარსულ 30-ს იანვარს ს. ღირბში, რომელიც ზორზედ ოცდახუთ ვერსზედ მდებარეობს, მოხდა ძალიან ზორბა ქურდობა. ამ სოფელში დიდი ხანია სცხოვრებს მღვდელი მ. პ. საბადალოვი, რომელსაც კარგი შეძლება აქვს. მს მღვდელი შემხვდა ქ. ზორში გუშინ აბრანძული და შეწუხებულის სახით. მკითხეთ მიზეზი. ამან დაიწყო: 30-ს იანვარს შუალამის ორ საათზედ დამესხა თავს, გულის მძინარეს, მთელი შაიკა ქურდებისა, შემდგარი თორმეტის კაცისაგან. პარებს რომ რახუნი დააწყებინესო, მე მეგონა საზიარებლად მოდის ვინმეო. აედექ და როგორც უნდა მივიდე კარებთანო, უცბად გადმოვარდება კარები, შემოცვიფიან სამნი მათგანი ანთებულის სახით და სხვები აქეთ იქით შემოვრტყვიან სახლს თვალის დასაჭერათო. თავ-პირი ყბალახებით ჰქონიყოთ შეხვეული, მხოლოდღა უჩნდათ თურმე თვალები და ცხვირი. მრთი მათგანი სდგერებიყო მღვდელს და იმას მაშინვე ლოგინისთენ მიეშურებინა; დააბჯინა ამან ყელში ხანჯალი; შეიღებო საცოდავს ყელზედ შემოეხვიენენ. მრთი კი მათგანი ზიდავდა გარეთ ბარგს. რამდენსაც წამოიწვედა თურმე მღვდელი, იმდენს აეხაზაკი ყელთან ახლოს მიიტანდა ხანჯალს და შეუტყვდა: „ხე ნიკორაო!“ და საბანში ჩააყოფინებდა

*.) ქ. ზორში გახლავთ საზოგადოებისაგან შედგენილი წრე. ღროს ვასატარებლად აქ ეწვეებიან. ზოგიერთნი შემოხსენებული ახალგაზდებთან გაზეთების საკითხავად კი არა სალაქათავოთ და ლამაზი ქალების სამზერად ეწერებიან. მაგრამ ამათანებს მალე ამოუსმენ ხოლმე აბურავანს.

რეშემო და შემოუთვალეს: ან დაგემორჩილდი ან დაგლუბავთო. მარბიბალდომ დაღამებამდინ არაფერი პასუხი არ შემოუთვალა; რომ კარგათ შემოლაშდა, ის გაიპარა ნაპირისაკენ, ამოაჩოჩა თავის ნაეები, გაათრია ხარებით, სრულებით მეორე ალაგას ჩაუშვა ისევ წყალში და ამნაირათ ხელიდამ გაუძერა მტერსა და სიკვდილს.

✶ აქ შეირთო მარბიბალდომ ერთი ახალგაზდა ბრაზილიელი ქალი-პნიტა, რომელმანც როგორც თავის სიცოცხლით, ისე სიკვდილით დამტკიცა, რომ ის ღირსი იყო მარბიბალდის ცოლობისა: მთელი სიცოცხლე თითქმის არცერთს გაჰიერებაში, არცერთს ომში არ მოშორებია თავის საყვარელ ქმარს; როგორც მარბიბალდი, ისიც პირველი მიდიოდა ომის ცეცხლში და მებრძოლებს თავის მაგალითით ამხნეებდა.

✶ რიო-ზრანდოდამ მარბიბალდი შრუგვაიში წაიდა და რამდენჯერმე დაა-

თავს. ბარეთ მდგომებს რომ მიაწოდეს ნაპარავი, ერთმა მათგანმა დაუძახა: „ხის ყუთი გატეხეთ, ხის ყუთიო! სულ ვერცხლეულობით არის საესეო“. მასტეხენ ამასაც და ერთიანად გაფხევენ.

მრთის სიტყვით, როგორც თვით ამ მღვდელმა და მისს სოფლელებმაც დაგვარწმუნეს, ლოგინის და ერთი ხელი ძველი ტანისამოსის მეტი ყოველის ფერი წაუღიათ. აქე გაშინჯეთ, მ.ყაში, მაშა, ქონის სათლები და სხვა ამ გვარი ჩინამახოებიც კი არ დაუგდიათ. სხვათა შორის ოცი თუმანი ფულიც გაუტანიათ.

შინაურულად იქცეოდნენ თურმე სახლში და წმინდა ქართულ ენაზედ ლ.პარაკობდნენო. მქვი აქეთ ზოგ-ზოგ იქაურებსზედვე, რადგანაც 30-ს საღამოზედ ორს იქაურს კაცს ეკითხნათ სახლში, რომ მღვდელი შინ არის თუ არაო და თუ შინ არ არის, როდის მოვაო. მაგრამ ჯერ არა აღმოჩენილა რა და გამოძიებაც ჯერ არ ყოფილა.

ს. ზაქარბი.

ზ ა ს წ ო რ ე ბ ა: ჩემს კორრესპონდენტიაში „ღროების“ № 15 ში შეცთობა მაშიედა: ეს ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ა დ ი ა ჩ ო ქ ი ო ს ე თ შ ი რ. ღ. — შ ნ და დამეწერა: ეს ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ა დ ი ა ჩ ო ქ ი ს. შ ე რ თ უ ლ ი ს და ძ ე ვ ე რ ი ს ა.

ს. ზ.

შოთი, 4 თებერვალს.

შოთი კარგი პატარა მდიდარი ქალაქია, რომ ხშირად უბედურობა არ ეწვეოდეს. მოგესხენებათ, რომ 1871 წ. ცეცხლმა დიდი ხარალი მისცა ამ ქალაქს, აგრეთვე 30 ს. წასრულს დეკემბერს (იხილეთ „ღროების“ № 3).

აქედე მესამედ უნდოდათ ცეცხლი გაჩენილ-იყო შოთში და 23 იანვარს 6 1/2 საღამოთ შედევს ხის შენო-

მარცხა ბუენოს-აეროსის პრეზიდენტი-როზასი, რომელსაც პატარა შრუგვაის რეპუბლიკის დამორჩილება უნდოდა.

ამ დროს 1848 წელმაც მოაწია. საფრანგეთის მაგალითით, მეროპის ყველა ხალხები აღელდნენ. მთელი იტალია აჯანყებული იყო. შევლამ თავისუფლების მოპოებისა და მტარვლობის მოსპობის სურვილი განაცხადა.

ზარბიბალდომ, თავის პნიტათი, გამოსწია ამერკილამ და გაჩნდა იტალიაში. მაძინი მიეგება იმას, როგორც იტალიის განმათავისუფლებელს, და იმის ელონტერათ (თავისუფალ სალდათათ) ჩაეწერა.

პიემონტი, ნიაპოლის, სიცილიის და სხვა იტალიის წერილი ხელმწიფეები და რომის პაპა იძულებული იყვნენ ხალხისაგან, რომ ჯარი გაეგზავნათ ავსტრიელების გასარკვათ იტალიიდან. პიემონტის ხელმწიფე — შარლი-ალბერტი საზოგადო სარდლათ იყო ამორჩეული. მარბიბალდი, თავის ელონტერებით, შეუერთდა

ბიან ლუქნის ქვეშ მუგუზალი, მაგრამ შოთის იღბალი, რომ სანამ ძლიერ გაძლიერდებოდა ცეცხლი, მანამ გაიგეს და გააქრეს.

დამნაშავე დაიჭირეს ერთი 13 წლის ყმაწვილი, რომელიც გამოტყდა თავის დანაშაულობაში დაწველილებით. მს ყმაწვილი თურმე უცნობ კაცს დაუქრთამია და ამასთანავე უთქვამს, რომ რასაც ის ცეცხლის დროს იშოვნიდა, ნახევარს გაუყოფდა ამ ყმაწვილს. მს უცნობი კაციც დაიჭირეს, მაგრამ ძლიერ უარზე სდგას.

ამნაირი შემთხვევა ამ უკანასკნელ დღეებში კიდევ ორჯერ მოხდა, მაგრამ დამნაშავენი ჯერ-ჯერობით ვერ მოძებნეს. ამბობენ, რომ შოთს ვილაც შემოჩენილი ჰყავსო და იმედოვნობენ, რომ უსათუოდ გამოძიება აღმოაჩენსო. მისურვით, რომ გამოძიებამ ამ საქმის ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს...

აქ საქონლის სნეულება (ჭირი) გაჩნდა და რამოდენიმე სული დაიხლცა; საუბედუროდ, შოთს საკუთარი ვეტერინარი (მკურნალი) არა ყავს, თუშკა კარგათ შეუძლია კი შენახვა.

ახალი დამწვარი ხის შენობიანი ლუქნების მაგიერათ, მებატონეები ქვის შენობას აპირებენ და რადენთამე პირთა მასალების მზადებაც დაიწყეს; ერთი მხრით კაცი იტყვის, რომ ქ. შოთს დაწვა მოხდენიაო 30 იანვარს კამმისიამ რკინის ხიდი, რიონზე, შოთში შეამოწმა და საიჩედო ამენებულად იცნა.

ამ უკანასკნელ სამ დღეში ისეთი ქარიშხალი იყო აქ რომლის მსგავსიც მოხუცებულ მომსწრე კაცებს არ ახსოვსთ: სულ დაღეწა შენობები და ერთი სიტყვით კაცს თავის გამოყოფა არ შეეძლო სახლიდგან. მოგახსენებენ, რომ სოფლებში ძალი-

შარლ-ალბერტის ჯარს საზოგადო მტრის გასადევნელად. მთელი იტალია აღტაცებული იყო ამ ომით; ყველა სიხარულით მადიოდა ჯარში, ყველას ის ჰაზრი ამხნეებდა, რომ აი მოვიდა გარეშე ბატონისაგამ განთავისუფლებისა და სამშობლო იტალიის შეერთების დროცო.

✶ პირველად მილანის ქ.ლაქმა უჩვენა მაგალითი: გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, იმან განდევნა ავსტრიის (რადეცკის) ჯარი. ვენეტიკი მილანს უცდიდა: გამოჩენილი პატრიოტის — ღანიელ მანინის წინამძღოლობით ვენეტიკელებმა, თავის მხრით, გამოჰყარეს ავსტრიელები და გამოაცხადეს „ვენეტიკის რესპუბლიკის“ დაფუძნება. შარლ-ალბერტმა რამდენჯერმე დამარცხა ავსტრიის ჯარი. მარბიბალდი და იმის ელონტერები მთელ ქვეყანას აკვირებდნენ თავის მხნეობით და სიმარჯვით: გარბიბალდიელები ავსტრიელების საფრთხობათ შეიქნენ. საქმე ისე მშენიერად მიდიოდა,

რომ, უეჭველად, იტალიელები ძლიერ მოკლე ხანში განდევნიდნენ ავსტრიელებს თავის ქვეყნიდან, რომ ერთს გარემოებას არ ჩაეფუშა იმათი საქმე: იტალიის პატარა ხელმწიფეებს შეეშინდათ, რომ ეს გამარჯვება სარდინიის ძაროლს შარლ-ალბერტს გააძლიერებოდა და არც ჩვენ დაგვეყრება ხეირი ამგვარი ჩვენი ხალხების მოძრაობითაო, და ცოტ-ცოტათ უკან ჩამოდგნენ. შარლ-ალბერტი დარჩა მარტო...

მილანი ისევ ავსტრიელებს ჩაუვარდათ ხელში. სარდინიის ჯარი რამდენჯერმე დამარცხებული შეიქნა. ბოლოს შარლ-ალბერტმა შეიტყო, რომ ომის გაგრძელება შეუძლებელი იყო; ხელი აიღო თავის გვირგვინზედაც და მორიგების პირობის შეკვრა თავის შვილს და მემკვიდრეს — ვიქტორ-ემმანუილს — მიანდა (1849 წ.) ცოტა ხანს შემდეგ ვენეტიკიც დაემორჩილა ავსტრიას.

(გაგრძელება)



თამბაქოს ფაბრიკანტებს განზრახვა აქვთ, მთავრობას თხოვნა, რომ თამბაქოს ზოგიერთს სარტებზე აქციონის ფასი დაუკლონო.

✱ მმართველობის მოამბეში და ბეჭდილი ანგარიში დამტყობულობით, რომ 1874 წელს რუსეთში 488 სასოფლო ბანკი ყოფილა გახსნილი და ყველა ამ ბანკებში ყოფილა 33 ათასი წევრი. ბანკებს ჰქონათ: საკუთარი თანხა—231 ათასი მანეთი, თანხის ფული—13 ათ. მან. და 600 მანეთამდე გასაცემი ნასესხი და მობარებელი.

უცხო ქვეყნები

სამზღვარ ბარათიღამ

სანამდისინ თავთ საგანზე ლაპარაკს დაიწყებდენ, მინდა მკითხველს ორიოდ სიტყვით შევტყობინო, რომ ამ ჩემს წერილებს „სამზღვარ გარეთიღამ“ იმიტომ კი არ ვეძახი, რომ ადგილი, საიღამაც იმათ ვიწერები მართლა სამზღვარს გარეთია, არამედ იმიტომ, რომ მათს შინაარსს საზოგადოთ იმ სახელმწიფოების ანქვეყნების შინაგანი და გარეგანი ცხოვრების უთავრესი და ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო მოვლინებანი შეადგენენ, რომელთაც ჩვენს სამშობლოზე სამზღვარს გარეთ იყოფებიან; ე. ი. ამ წერილებს სახელს ანუ წოდებას მისცემს მათი შინაარსი და არა ადგილი, საღამაც ისინი იწერებიან.— აქვე უნდა ვთქვა, რომ ამ სახელმწიფოებიღამ საფრანგეთი უნდა გამოვრიცხო, რადგან ეს ქვეყანა „ღროების“ რედაქციას ისე უყვარს და მის ცხოვრებას ისე გულ-მოდგინეთ ადევნებდა თვალყურს დღემდინ მაინც, რომ ალბათ იქიღამ სპეციალური კორრესპონდენციები მოუყა.

მა პირველი წერილი მსპანიის უკანასკნელ მონარხიულ რესტავრაციას უნდა უძღვნა. ბოდიშს ვიხდი, რომ ამ რესტავრაციაზე მხოლოდ მაშინ ვიწერები, როდესაც იმის მიზეზი „ბავში“ ალფონსი მე-XII—როგორც პარლ-შოგტი იმას ეძახის დღეს თავის სატახტო ქალაქში მადრიდში-ბრძანდებაკიდც.— „ვინემცსულ არაოდეს ისევე გვიან იყოლო“ რუსული ანდაზა ამბობს და მეც ამით ვაპირებ თავის გამართლებას. მაშ, მოეყვით ამბავს ნელა, მოკლეთ და დალაგებით.—

დღეს იმ ჯარმა, რომლის უტიკების შემწეობით ამ ერთი წლის წინად (4 იანვ. 1874 წ.) დენერალმა პაეიამ კორტესი იფრინა და სამხედრო რესპუბლიკა—სერანოს დიკტატორობით დაადგინა მსპანიში, სწორეთ ამავე ჯარმა ამ სამხედრო რესპუბლიკას, რომელიც დღემდინ მარტო სახელით და არა სახრავით არსებობდა, ისევე ბოლო მოუღო და 29, 30, 31-ს წასრული წლის დეკემბრის რიცხვებში მონარხიული რესტავრაცია მოახდინა- იმით, რომ ღონ-ალფონსი მე-XII მიიწვია კოროლათ (მეფეთ) მსპანიის ტახტზე.

დღეს ცხადათ აღმოჩნდა, რომ ეს რესტავრაცია თვით დიკტატორის სერანოს შემწეობით და მოქმედებით მომხდარა, თუმც ეს კი ამბობს, რომ მე ამ საქმეში ისე ალალ-მართალი და პატიოსანი ვარო, როგორც პედროსიო, რომელიმაც ამ ორი წლის წინეთ ჩვენს სამშობლო ტახტზე უარი სთქვაო. ცხადათ სჩანდა ამ რესტავრაციის წინეთ კარლისტებთან რესპუბლიკელების ომების ოპერაციიღამ, რომ სერანოს ერთი როგორც მართველობის თავს და მეოოეთ, როგორც ჩრდილოეთის არმიის სარდალს — მაშინ, როდესაც ღონ-პარლოსის პრეტენდენტობისათვის ღრთის ომით შეეძლო ბოლო მოეღო, მის მაგიერ ის საქმეს აძნელებდა, აგვიანებდა და თავის ჯარს გზასა და კვალს უზნევედა, რომ ამასობაში მის თანამოაზრეებს რესტავრაციაც მოემზადებინათ; ცხადათ სჩანს, რომ მარშალ-დიკტატორ-სარდალმა სერანომ, რომელსაც პატიოსნობაში და სარდლობაში დღეს მხოლოდ ექს-მარშალი ბაზენი თუ შეედრება, თავის დიკტატორობის დროს მოამზადა მსპანიის ჯარი მონარხიული რესტავრაციის მოახდენათ და აუსრულდა ეს გულის წადილი თუ არა, თავთ აიკრა ბარგი და მსპანიის სამზღვარზე გადვიდა. თავის სამშობლოს ისტორია ალბათ ამასაც იმისთანა ძეგლს დაუდგამს, როგორი ძეგლიც მის მგზავს ბაზენს მისმა სამშობლომ დაუდგა...

მრთის სიტყვით, ვისი წყალობითაც უნდა იყოს — დღეს მსპანიის ხალხი ისევე იმ ბურბონების გვარის შთამომავლობას ჩაუარდა ხელში, რომლის უკანასკნელი წარმომადგენელი იზაბელა მეII ამ რამდენიმე წლის წინეთ (1868) ისე სასახლოთ გაისტუმრეს მსპანიიღამ. დღეს ეს ექსპორტოლევა და პაროლის დედა, მუღამ სამფლობელოს არეულობამ (პრიმის და სერანოსაგან ხალხის აჯანყებამ) იქამდისინ მიიყვანა 1868 წელში, რომ მიატოვა ტახტი თავის ვიჟის ალფონსოს სასარგებლოდ და დაბინაედა პარიჟში. — აი ამ ვაჟს, რომელიც დღეს 17-18 წლისა არის და რომელსაც, როგორც ჩვენში იტყვიან ჯერ დედის რძე ტუჩებზე არ შემორობია, მსპანიის ხალხმა თავისი სამშობლო ბედი და უბედობა ხელში ჩაუგდო, ახალი 1875 წელიწადი თავისი სამშობლოს კოროლობით მიულოცა.— ახალი წლის მილოცვა და თან საჩუქარიც ესრეთი უნდა!..—

ღიღინის მზადების შემდეგ, რადენიმე დღეა, რაც ღონ-ალფონსი პარიჟიღამ გამოემგზავრა და დღეს ის თავის სატახტო ქალაქში, მადრიდში ბრძანდებდა. რალა ლაპარაკი უნდა, რომ ახალსა და ახალგაზდა კოროლს თავისი ქვეშევრდომები ისე დახედებოდნენ, როგორც მისს სახელს და ღირსებას შეეფერებოდა. რაც უნდა იყოს, ალფონსო მე-XII ისეთს აღტაცებაში მოსულა, რომ ჩამომხტარა თავის სასახლეში თუ არა, შემდეგი ტელეგრამმა მიუწერია დედისთვის: „ჩემი გული ტოკავს იმ აღტაცებითი

ყვირილით, რომლითაც მსპანიის ხალხი დღეს თავის მამას (?) ეგებება! ზმადლობ, ძვარფასო დედა, შენი მშობლიური ლოცვისათენ!“

თუ იმას ბევრს ალაგას ხალხი და ჯარიც მართლა ისე აღტაცებით ეგებება. ეს რა გასაკვირველი უნდა იყოს იმ ხალხისაგან, რომელიც დღეს სამოქალაქო ომებით დაქანცული და დაუძლურებულია და ახალი კოროლისაგან „საზოგადო მშვიდობიანობას“ მოეღოს?

ნურც იმ ხმებს დაეფარავთ, რომლის ძალითაც, ვითამც მადრიდში და სხვა ქალაქებშიაც რესპუბლიკელებს ამ რესტავრაციისათვის წინააღმდეგობა გაუწევიათო. მრთს რესპუბლიკელს (ლეონ მერინოს) 500 თანამოაზრე და თანა მომხრეებით დაუტოვებია მადრიდი და სერო-მარენაში წასულანო, რომ აქ კონტრ-რესტავრაცია მოახდინონო. ბაზეთების სიტყვებით, თვით ცენტრალურ არმიამაც კი მომხდარა არეულობა.

პირველი დეპეშა თავის გაკოროლებისა ღონ-ალფონსიმ პაპ-პიო მე-IX-ს გაუგზავნა. ამ დეპეშაში—გარდა ახალი წლის მილოცვისა, ეს ახალგაზდა მონარხი იმედს აძლევს და თან ამხნეებს წმინდა მამას. დეპეშის წაკითხვის შემდეგ პიო მე-IX-ს თუთხმეტა ნიმიუტის განმავლობაში ხელები მღლა აპყრობილი ჰქონდა და, მეტის-მეტი აღტაცების და აღელვების მიზეზით, ამ სიტყვების თქმის მეტი ვერა მოახერხა რა თურმე: „ღმერთო, შენ გმადლობ, რომ სულ უნუგეშოთ არ სტოვებ შენს სამწყსოს...!“ წა. მამას იმ წამსვე მილოცვა და კურთხევა გაუგზავნია „სულიერი შეილისათვის“. მს „კურთხევა“ სასაცილოთ არ ჰქმარისთ თურმე იტალიურ გაზეთებს: ვაი თუ ამ კურთხევასაც ისეთი ბედი ექმნესო, როგორც იმას მაქსიმილიანისათვის (დახერცეს), იზაბელასათვის (ტახტი მიატოვებინეს), შრანჩესკო მე-II-სათვის (ნეპოლიტანელი კოროლი, რომელიც 1860 ბარიბალდიმ თავის სატახტო ქალაქიღამ გააგდო) და ნაპოლეონ III-თვის ჰქონდაო! შემდეგ თითქმის პარიჟიღამე მეორე დეპეშით მსპანიის დროებით მმართველობას აუწყებდა ყოველგვარ საკათოლიკო ეკკლესიის „შემგანებელ“ და რესპუბლიკურ გაზეთების მოსპობას. მეორე დღესვე ყველა ამ გვარი გაზეთები მოისპო მსპანიის უმთავრესს ქალაქებში, განსაკუთრებით იმისთანა ქალაქებში, სადაც ალფონსი მე-XII კოროლობა აღიარეს. ამ გაზეთების მაგიერ, დაფუნდა რადენიმე მონარხიული და კლერიკალური გაზეთი. თქვენ შეიტყობდით, რომ ალფონსის ამ გვარმა მკაცრმა განკარგულებამ ბისპარკი ერთობ ააღელა. იმას მიუწერია მსპანიის მმართველობისათვის, რომ ალფონსი მე-XII ტახტზე აყვანას მანამდისინ არ აღვიარებო (?) სანამდისინ ის პროტესტანტული გაზეთების მოსპობაზე უარს არ იტყვიასო.

ბარდა ამ ზემო მოყვანილი გან-

კარგულებისა, მადრიდში გამოცემული დეკრეტით ალფონსი მე-XII მსპანიის თავად-აზნაურებს დაუკანონებდა, რომ დღეს შემდეგ ჩინითა და ღირსებით განსხვავება ანუ გარჩევა კეთილშობილების მაღალსა და დაბალს წოდების შუა ისევე შემოიღება მსპანიამო.

როდესაც დღეს მსპანიის მონარხიულ ტახტზე მჯდომიარეს ალფონს ბურბონს ხედავ და მისს დეკრეტებს კითხულობ, როდესაც ამ ტახტის გარშემო კლერიკალური პარტიის მაგრათ შემოფეხვებასაც ხედავ, უნდა გვიკვირდეს კარლისტებისაგან კიდევ ომის და სისხლის ღვრის განგრძელება. რალა უნდათ ღონ-პარლისტებს?

მაგრამ ძასტელარი მართალს ამბობს, რომ დღეს პარლიზმი მხოლოდ მორალურ გამარჯვებას ეძებსო.

სიურბი ი. მ. 20 (8) იანვრის

საზრანგეთი. უცხო ქვეყნების გაზეთები ძალიან გაკვირვებულნი არიან, რომ მერსალის ნაციონალურმა პრებამ დეპუტატის შალონის წინადადება მიიღო. მკითხველმა იცის, რომ ამ წინადადების აზრი ის არის, რომ 1880 წლამდე საფრანგეთში რესპუბლიკა იქნება, რომლის პრეზიდენტათ 24 მაისის 1873 წლის ძალით მაკ-მაჰონი არის დანიშნული; რომ 1880 წლის შემდეგაც საფრანგეთში რესპუბლიკა იქნება, თუ ხალხის წარმომადგენელი პალატა მაშინ სხვა მმართველობის ფორმას არ დაამკვიდრებსო.

ინგლისური, გერმანიული და იტალიური გაზეთები თითქმის ყველა ერთხმით ამბობენ, რომ თუ ნაციონალური კრება ამ გადაწყვეტილებაზე დადგა, თუ კიდევ არ შესცვალა ერთხელევე მიღებული კანონი, საფრანგეთი როგორც იქნება ცოტას მაინც მოისვენებსო.

მრთს ნემენცურს გაზეთში პარიჟიღამ მიღებული კორრესპონდენცია არის დაბეჭდილი, რომლის ავტორი ამბობს, რომ გერცოგი ბროჰლი ამ ქაშად ძალიან გაცხარებულ საქმეში არისო, სცილიობსო, რომ როგორც მე მარჯვენა მხრის დეპუტატებისაგან პრებაში უმრავლესობა შეადგინოსო. მაგრამ, უკანასკნელი პოლიტიკური შემთხვევები გვიმტკიცებენო, ამბობს, ეს გაზეთი, რომ ორლენისტების, ლეგეტიმისტების და შამპორის დრო წავიდა; ეხლა საფრანგეთში ორს უმთავრესს პარტიას შუა შეიქნება ბრძოლა; რესპუბლიკისა და ბონაპარტისტების შუა; და ყველა გარემოება გვიმტკიცებს, რომ მალე რესპუბლიკური პარტია სრულებით გაიმარჯვებსო.

იტალია. იანვრის 26-ს ბარიბალდი რომის მეხუთე უბნის ამომჩევლებს მიუპატუნიათ. ბარიბალდი თავის უფროსის ვაჟით მენნოტით წასულა. იმის დასახვედრათ ერთი

დიდი ზალა მოუზადებიათ, რომელ- შიაც სხვა და სხვა დროებითი და შიქტორ მმანუელის ძაფურის, თე- თონ ბარბალდის, და მადინის სტა- ტუები ყოფილა პირველს ალაგზე დადგმული. ბარბალდის მისელისა- თანავე, ერთი გაუწყნარებელი ქვი- რილი შეუქნია ხალხს: „ზაუმარჯოს იტალიას! ზაუმარჯოს ბარბალდი- სო!“

ბოლოს როგორც იყო ხალხი დაჩემებული და ბარბალდის მოკ- ლე სიტყვა წარმოუთქვამს, რომელ- შიაც ამტკიცებდა, რომ ახლა დრო აღარ არის პოლიტიკურ საგნებზე ბაასისაო, ახლა ჩვენ ხალხის ეკო- ნომიურ მდგომარეობაზე უნდა ვფი- ქრობდეთო. შემდეგ იმას აუხსნია მსმენელებისთვის პროექტი, რომე- ლიც იტალიის პალატაში უნდა შეი- ტანოს. ეს პროექტი იმაში მდგომა- რეობს, რომ რომი ნავსადგურ ქალა- ქათ გააკეთოს და რაც იმის გარ- შემო უღაბნო ალაგებია, არხებით გაანაყოფიეროს, რომ ღარიბ ხალხს ამ მიწებით სარგებლობა შეეძლო- სო.

ბარბალდის სიტყვამ მსმენელები აღტაცებაში მოიყვანა. ნაწაველი კა- ცები ამტკიცებენ, რომ იმის პრო- ექტის შესრულება, თუ ფულები იქნა, ადვილად შესაძლებელი არი- სო და ძალიან დიდ სარგებლობასაც მოუტანს რომსაო.

მაგრამ ბევრს აკვირებს ის გარე- მოება, რომ ბარბალდი ასე ერიდე- ბა იტალიის პოლიტიკურ მდგომა- რეობაზე ლაპარაკს. „სანამ იტალია- ში რესპუბლიკური მმართველობა არ დამკვიდრებულია, მანამ პოლიტიკაზე ლაპარაკი არასოდეს არ არის უდ- როოვო,“ ამბობს ერთი ფრანკული გაზეთი.

საბმარქნოთი. ერთს ფრანკულს გაზეთში დაბეჭდილია ათინიად გა- მოგზავნილი დებეშა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ათინში ხმა გაეარდნილა, ვითომც ბერმანის გან- ზრახვა ჰქონდეს, თუ ვინცობაა, სა- ბერძნეთში რევოლიუცია მოხდა და ახლანდელი კოროლი ბიორგი

გადადგა მეფობილამ, იმის ალაგას ნასსაუს გერცოგი დასეას.

ნარკვი

საფრანგეთის მთავრობას განუზრახავს, რომ ერთი ნაწაველი ზღვის აფიციარი, სახელად ბრაციო ვაგზანოს თავის ხარჯით შუაგულ აფრიკაში. ამ აფიციარმა უნდა განაგრძოს ის გამოკვლევა აფრიკის შუაგული ქვეყ- ნებისა, რომელიც ლეინგსტონმა ვერ შეას- რულა.

* *

ერთს მდიდარს ინგლისელს ბოლოვების რამდენიმე ასი ათასი მანეთი გადაუღვია და ამ ფულებით ინგლისში ქალების უნივერსი- ტეტის გამართვას აპირებს. ზაზეთებში სწე- რენ, რომ ამ უნივერსიტეტისათვის ბოლო- ვების ადგილი უყიდნია და ახლა ისეთი შე- ნობის აგებას აპირებსო, რომელშიაც 400 სტუდენტი ქალი მაინც უნდა მოთავსდესო. ამბობენ, რომ ეს ბოლოვები აფთიაქარი არისო, სადაც აბები გამოუღვინია და იმით შეუძინია იმდენი ფულიო.

* *

საფრანგეთის ქალაქში ჟონტენებლოში ერთი ოთხმოცდა ათი წლის მოსუცებული მდიდარი ქალი მიცვალებულა. იმის ანდერ- ძში, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები ყო- ფილა: „ჩემს ექიმს, რომლის განათლებულმა რჩევებმა და მზრუნველობამ ამ ხნობამდინ მიმაღწეინა, უტოვებ ყველაფერს, რაც ჩემი კამოდის შესამე უჯრაშია; ამ კამოდის გასა- ლები ჩემი ღიების ქვეშ არის.“

მემკვიდრეებს ეგონათ, რომ მთელს თავის სიმდიდრეს იმათი მიცვალებული ნათესავი ექიმს უტოვებსო და, რასაკვირველია ძალი- ან შეკრთნენ.

მოიყვანეს ის ბედნიერი ექიმი, რომელსაც ანდერძის შემოსხენებული მუხლი შეეხებოდა. ნოტარიუსმა ჩაბარა იმას კამოდის გასაღე- ბი. შევლანი გულის ძგერათ თავს ადგენ- ექიმს, როცა კამოდს აღებდა. ბოლოს, რო- ცა ხელების ცახცხით გააღო ექიმმა, ნახა რომ მთელი კამოდის უჯრა აფთიაქის შუ- შებით იყო გატენილი და აცერითი მუშა გახსნილი არ იყო. არცერთი წამალი რა- მელიც ექიმს ერჩია და აფთიაქილამ დაემა- რებინა, მიცვალებულს თავის სიცოცხლეში არ გაეხინჯა... *

* *

ინაგარს 28-ს ახლად აგებულს პარიკის ახალს მუკარაში დიდი მასკარადი ყოფილა გამართული პარიკის ღარიბების სასარგებ- ლოთ. მასკარადილამ, როგორც ერთს ფრან- კულს გაზეთში სწერენ, ამ საღამოს 45,000 მანეთი შემოსულა და 15,000 დახარჯულა ასე, რომ ღარიბებისათვის 30,000 მანეთი კიდევ დარჩენილა.

საქაზრო

ქვეყნიის სამხედრო მარხის ინჟინერის სამმართველო გამოიხმობს მსურველებს, რა- თა იკისრონ იჯარით ალბა, მერგის მარხა- ში, შატოის ციხეში ზოგიერთი ყაზარმების გადაკეთება და რემონტი.

ამ საქმისთვის—9,801 მანეთია დანიშ- ნული.

მაჭრობა იქნება თფილისში ინჟინერის სამმართველოში ამ წლის 24 თებერვალს, შურო დაწერილებითი პირობების შეტყობა იქვე შეიძლება.

ქვეყნიის სამხედრო მარხის ინჟინერის სამმართველო გამოიხმობს მსურველებს რა- თა იკისრონ იჯარით შემდეგი მუშაობა მოზ- დეიქენსკში: დიდი ნაობახტის გადაკეთება.

78 ნაფინის პოლიკისათვის აშენება: ქვით- კირის სამლოცველოსი, ციხაუზი ლახარეთ- თან, ქვითკირის სარდაფისა და აგრეთვე ქვით- კირის სამრეცხველოსი,—სულ 12,570 მა- ნეთისა და 55 კაპიკისა.

მაჭრობა იქნება თფილისში, ინჟინერის სამმართველოში ამ წლის თებერვლის 27-ს.

ქვეყნიის სამხედრო მარხის ინჟინერის სამმართველო გამოიხმობს მსურველთა, რა- თა იჯარით იკისრონ შემდეგი მუშაობა ბუ- ნიში, ლესტნის მარხაში: ქვითკირის კოშ- კის აშენება ქარა-კოისის მდინარის მარჯვენე ნაპირზე, რომლისთვისაც—16,457 მანეთია დანიშნული; შვიდი პლათფორმისა და სტე- ლაჟის გაკეთება არტილერიისათვის ამავე ცი- ხეში—2,388 მანეთისა, სულ 18,845 მა- ნეთისა.

მაჭრობა იქნება თფილისში, საინჟინერო სამმართველოში, ამ თებერვლის 28-ს.

ქვეყნიის სამხედრო მარხის ინჟინერის სამმართველო გამოიხმობს მსურველთა, რა- თა იჯარით იკისრონ შემდეგი მუშაობა თფი- ლისში ყაზარმების რემონტისა, რომლისთვის დანიშნულია 7,481 მან. და 54 კაპ.

მაჭრობა იქნება თფილისში, ინჟინერის სამმართველოში ამ თებერვლის 18-ს.

განცხადება

ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი თანაშემწე ნათიცი ვეკილისა. ვეკილების ახალი წესის ძალით და

თფილისის სამოსამართლო პალატისა- გან და აგრეთვე თფილისის სასამართლო- თაისის ოლქის სასამართლო პალატის მიღებული ნება დართვით აწარმო- ებს და დაიცვამს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს თფი- ლისის სამოსამართლო პალატაში, თფილისის ოლქის სასამართლოში და თფილისის მოპრიგებელ მსაჯუ- ლებთან. ბარდა ამისა, თანახმა არის თფილისის გარეთაც აწარმოოს და დაიცვას საქმეები ქუთაისის ოლქის სასამართლოში და მოპრიგებელ მსა- ჯულებთან როგორც თვით ქუთა- ისში, აგრეთვე თფილისისა და ქუთა- ისის გუბერნიების უფლებში.

აგრეთვე მიიღებს შედგენას საძი- ებო აზრებისას, ავტოლატიის და კასა- ტიის საჩივრებისას და სხვათა სასა- მართლოში შესატანი ქალაღდებისას და აგრეთვე სხვა და სხვა პირობათა და კანტრაქტების შედგენას.

თფილისის არსენალის ქუჩა, შული- ნოვისა (ანუ ბუჭყაყვის) სახლებში. დილით თერთმეტ საათამდინ.

საღამოთი—ხუთი საათამდინ შედ საათამდინ.

შოჩით ანუ ტელეგრაფით უნდა მოიწერონ: Вь Тифлисѣ, Николаю Книшани.

სარქმო სარდაში

შუ. ა ხ ე ლ ე დ ი ა ნ ი ს ა

პ ა რ ლ ა მ ო ვ ი ს ა

ზაიხსნება ყველიერის ორშაბათს,

17 ს თებერვალს.

სარდაში გაიყიდება შემდეგი ნა- წარმოები შემდეგის ფასით:

- ქარაქი, გირვანქა. 55 კაპ.
- ნაღები 40 —
- სმეტანა. 30 —
- ხაქო (ტვოროგი). 10 —
- მოუხდელი რძე 5 —
- მოხდელი რძე. 2 —
- შველი 15 —
- სარდაფი იმყოფება ქრევის მაე- დანზე, სემინარიის პირიპირ, მანდე- ნოვის სახლებში, ბიუდელის მალა- ზის ქვეშ.

რ. ბ. შ. ა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	საქმის გეგმა	ფორმა	ბირჟა	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.
თფილისი	8 18	8 17			ა) შოთილამ:	ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:	პეტრბურგი, 7 თებერვ.		თფილისი, 14 თებერვ.	
მცხეთა	9 18	10	68	38	მდსისკენ—ხუთშაბ. საღ. 6 საათ.	სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორავლის ფთ.	120
ზორი	11 39	143	40	23	სტამბოლს—კვირაობით დილას.	—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 3/4 პენსი.		ქერი ფუთი.	65
სურამი	1 52	4 30	92	18	ბ) სოხუმიდამ:	ოთხშ., მსურვებს — პარასკ და	პარიჟში 3/4 სანტიმი.		ბაბა პრენისა, ფუთი	480
ბეჟათუბანი	3 45		42	46	შოთს—ოთხშაბათს, ღამით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი(სარგებლისფასი)		— ამერიკისა, ფუთი.	665
ქვირილა	6 49		51	33	მდსას—პ. რასკეფს, გათენებისას	შაბ. ბაქეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეტი 5%		ბაპენტილი ბაბა ფთ.	8
ქუთაისი	7 55		67	37	შოთილამ: I II III	ბ) შ ფ თ ა ი ს ი დ ა მ:	მოგებინი(პირველისხსნი)		მატყლი ფუშური ფთ.	640
სამტრედია	9 2		73	42	სოხუმიდამ. 4 3 1	თფილისისა და შოთისაკენ—ყო-	მოგებინი (მეორე სხსნი)		—თარაქამისა ფთ.	4
ახ.-სენაკი	10		85	47	ქვირამი. 20 50 15 50 5	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	ბარაოს ფურცლები:		პბრეშუმი ნუხური გრ.	260
შოთი	11		97	54	ტაგანოვ. 34 27 8 60	გეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს	თფილ. საზნ. ბანკისა.		ქონი, ფუთი.	440
					მდსასამი. 38 30 9 60	—ოთხშაბ.	ხელოსნის ბანკის (5 1/2)		ქონის სანთელი ფუთი.	560
შოთი	7 38				ტელეგრაფი მ. კაპ	გ) ბ ო რ ი დ ა მ.	მოსკოვის (5%)		სტეარინის სანთელი, ფ.	1050
ახ.-სენაკი	9 11		118	66	მცი სიტყვა თფილისილამ:	შოველგან ყოველ დღე, კვირას	აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	65
სამტრედია	10 12		2	14	ქუთაისს, შოთს 1	გარდა.	მდსის სავაჭრო ბანკის.		—ცხვრისა, ლიტრა	75
ქუთაისი	11 17		3	16	ზორს, ლუშეთს, სიღნაბს 50	დ) შ ო თ ი დ ა მ:	შოთი-თფილ. რკინ. გზის		სპირტი, ვედრო.	7
ქვირილა	12 38		3	21	როსტოვს მდსას მოსკოვს 2	შოველგან—ყოველ დღე, კვი-	შავიზღვის ცეცხ. გემების		შაქარი, კარგი ფუთი	860
ბეჟათუბანი	3 27	ღამე	5	26	პეტრბურგს, მარშვას 2	რას გარდა.	ბავკაზის და მერკურის		— ფხვნილი ფუთი	690
სურამი	4 57	12 30	5	24	მსპალეთში შევიცარიანი 3	წიგნის გაგზავნა რუსეთში:	პირვ. საზღვევ. საზოგ.		შავა გრვალის ფუთი	1970
ზორი	7 23	3 31	7	36	იტალიაში და საფრანგეთში. 3 50	ლა წიგნის 5	პეტრბ. საზღვევ. საზ.		ხეთი ქუჩულისა ფთ.	750
მცხეთა	9 52		9	8	ინგლისში. 3 75	დაბეჭდილის (სამი მისხალი) 10	მოსკოვის საზღვევ. საზ.		მქრო 1/2 იმპერიალი.	590
თფილისი	10 49	8 29	75	54						